ხელშეკრულება №02/305

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

20 ივლისი 2011 წელი

ქ. თბილისი

ერთის მხრივ,
სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის გიორგი არსოშვილის სახით,
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42,
საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ა/ა: 200122900;
(შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ,

შპს „კოპიპრინტ-2000"
წარმოდგენილი დირექტორის ზაზა არახამიას სახით
მის: (ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. #5
საიდენტიფიკაციო კოდი: 205166210
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი";
ბანკის კოდი: TBCBGE22;
ა/ა: GE10TB0600000360203670
(შემდგომში "მიმწოდებელი")

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი
1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საჭიროებისათვის ფსიქიატრიული კომისიის ბეჭედის დამზადება და მიწოდება.
1.2 შესყიდვის ობიექტის რაოდენობა, ერთეულის ფასი და ტექნიკური აღწერილობა მოცემულია ფასების ცხრილში - დანართი #1;
1.3 CPV კოდი: 30100000 - საოფისე მანქანები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
2.1 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი რათა დარწმუნდეს მიწოდებული საქონლის ხარისხში.
2.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
2.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.
2.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.
2.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სამედიცინო დეპარტამენტის უფროს- დავით ასათიანი.

3. მიწოდების პირობები

3.1 საქონლის დამზადება და მიწოდება განხორციელდება მოთხოვნიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3.2 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ხარჯით მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად, ნივთობრივად უნაკლო და ახალი საქონელი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთიანად, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.2 შემყიდველის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიღებას აწარმოებს სამედიცინო დეპარტამენტის უფროს- დავით ასათიანი.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში;

5.2 დაფინსების წყარო: 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

5.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით, მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე და სხვა დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები და ა.შ.) წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

6. ფასები

6.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

6.2 შესყიდვის ობიექტის რაოდენობა, ერთეულის ფასი მოცემულია ფასების ცხრილში - დანართი #1;

6.3 შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება შეადგენს - 35,00 ლარს (ოცდათუთხმეტი ლარი და 00 თეთრი).

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ს.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

10.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ან მისი ნაწილისა;

10.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

10.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.3.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

10.3.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

10.3.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. ხელშეკრულების ენა

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 ეგზემპლიარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

14. შეტყობინება

14.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სასჯელაღსრულების,პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	შპს „კოპიპრინტ-2000“
გიორგი არსოშვილი	ზაზა არახამია

ფასების ცხრილი

#	შესყიდვის ობიექტის დასახელება	CPV კოდი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი [redacted]
1	ბეჭედის დამზადება და მიწოდება	30192151	ცალი	1	35,00	35,00
						სულ ჯამი: 35,00 ლარი დღგ-ს ჩათვლით

შენიშვნა: საქონლის ერთეულის ფასსა და საერთო ღირებულების შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საქონლის ერთეულის ფასს.

შემსყიდველი:

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

გიორგი არსოშვილი

მიმწოდებელი:

შპს „კოპიპრინტ-2000“ [redacted]

ზაზა არახამია

ფსიქიატრიული
კომისია

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	შპს „კოპიპრინტ-2000“
გიორგი არსოშვილი	ზაზა არახამია

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული
დახმარების საკითხთა სამინისტრო

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 20/07/11

მიმწოდებელი: შპს „კოპიპრინტ-2000“

ხელშეკრულების № 02/305

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლს "ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები" ვადასტურებთ, რომ საქართველოს სასჯელარსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ აღნიშნულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

ვიზირებულია:

გიორგი არსოშვილი

ამირან ჯებისაშვილი

დავით ასათიანი

ლევან მაღლაკელიძე

ეკა ალიმბარაშვილი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი

ბრძანება №135

თბილისი 20. 07 2016 წ.

ზოგიერთი სახის მომსახურებისა და საქონლის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის შესახებ

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, რაც დაკავშირებულია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) გამართულად ფუნქციონირებასთან, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 იანვრის №8 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა", „თ" და „ყ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდულ იქნეს:

ა) ავტომანქანა "TOYOTA LAND CRUISER" სახელმწიფო ნომრით DXD – 535-თვის წინა ხუნდები თანდართული მომსახურებით - 250 ლარის ზღვრული ოდენობით;

ბ) ავტომანქანისთვის ("MERCEDES-BENZ" სახელმწიფო ნომრით LQL-121) საყრდენი დისკები თანდართული მომსახურებით, ოთხივე ხუნდი თანდართული მომსახურებით, საბურავების განშლა - 800 ლარის ზღვრული ოდენობით;

გ) 3 ცალი სავარძელი - 800 ლარის ზღვრული ოდენობით;

დ) ფსიქიატრიული კომისიის ბეჭედის დამზადება - 35 ლარის ზღვრული ოდენობით;

ე) ფარდა-ჟალუზი - 600 ლარის ზღვრული ოდენობით.

2. დაევალოს სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსს (ა.ჯებისაშვილი) უზრუნველყოს შესაბამისი ხელშეკრულებების მომზადება.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ხ. კალმახელიძე